ხელშეკრულება №7/2

საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით CPV3300000

(სსიპ თსსუ-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, 2016 წლის 08 თებერვალს გაფორმებული N09-1/62-14 ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში)

ქ. თბილისი 17 მარტი 2016წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მდებარე: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33 (შემდგომში, „შემსყიდველი"), თსსუ-ს კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი", მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240 (შემდგომში, „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი კანცლერის, ირაკლი თაქთაქიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ასევე თსსუ-ს ვ. ბახუტაშვილის სახელობის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის 2016 წლის 16 თებერვლის N330 წერილის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტია: 2016 წლის 08 თებერვლის N09-1/62-14 ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დანართი N1-ით გათვალისწინებული ცხოველური პროდუქტების შეძენა (CPV 3300000).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიწოდების ყველა ხარჯს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისთვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შესაბამის გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვ. ბახუტაშვილის სახელობის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში, მისამართზე: ქ. თბილისი ჭიაურელის ქუჩა N2ა, სადაც სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

3.3 მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მიწოდების დროს, სავალდებულო წესით უნდა წარმოადგინოს საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი და ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადებითა და მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით. მათ ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა შესაბამისი დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
6.3 „შემსყიდველი" ვალდებულია, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
6.4 შეტყობინების მიღების შემდეგ, „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები, საკუთარი ხარჯით. მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
7.3 წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.
7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მოწოდების დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) წარმოდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში.
7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე, ან მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოახდინოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გამოკლებით, რის შესახებაც ეცნობება მიმწოდებელს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.
8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
-მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- გააფრთხილოს „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან

გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ერთჯერადად, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.6 „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს „მიმწოდებელს" საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,3 (ნული მთელი და სამი მეათედი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

9.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების 9.6 პუნქტთ გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისთვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე.

9.8 9.7 მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლოს გადახდა.

9.9. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1% –ის (ნული მთელი და ერთი მეათედი) ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არ დაიშვება ხელშეკრულების პირობებში (მათ შორის ისეთ არსებით პირობებში, როგორიცაა ხელშეკრულების საგანი, ფასი, ვადა და ა.შ) ცვლილება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

10.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობისას, ის მხარე, რომელსაც სურს ცვლილების შეტანა, ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე.

10.3 ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს შეთავაზებულ წინადადებას ცვლილების შესახებ.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დამატებითი შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 11.3 და 11.5 ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

14.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თსსუ-ს ვ. ბახუტაშვილის სახელობის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნის მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის, უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით, დასაშვებია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ, ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე, იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული
უნივერსიტეტი	უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 211325653
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	სს „ლიბერთი ბანკი“, კოდი LBRTGE22
ა/ა GE24 NB03 3010 0200 165 022	ა/ა GE56LB0121134383911027
თსსუ-ს კანცლერი	**ა(ა)იპ საქართველოს აგრარული**
ზურაბ ორჯონიკიძე	**უნივერსიტეტის კანცლერი**
_____	**ირაკლი თაქთაქიშვილი**
	_____

*სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 151198173

დანართი N1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ლაბორატორიული თაგვი (FVB ხაზი)	ცალი	100	10	1000
				სულ:	1000

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული
უნივერსიტეტის კანცლერი
ირაკლი თაქთაქიშვილი

---

*სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 151198173